პროპაგანდა

თბილისის თავისუფალი აკადემია
ჟურნალი "მომავლის ლიდერი"

N6 (16) ნოემბარი - დეკემბერი 2021 წელი

მთავარი რედაქტორი

სალომე პირველი

თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი,
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

სარედაქციო საბჭო

მარინე კობალავა

თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მარიამ სიხარულიძე

თბილისის თავისუფალი აკადემიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინი ჩაჩხიანი

თბილისის თავისუფალი აკადემიის
ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

გრაფიკული დიზაინერი

სოფიკო ალფაიძე

პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი
აკადემიის „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის“ მიერ

ISSN 2667-923X

© თბილისის თავისუფალი აკადემია
გამომცემლობა, თბილისი 2021

რა არის პროპაგანდა და რატომ მიმართავენ პროპაგანდას?

პროპაგანდა ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატიური გავრცელებაა. იგი ინფორმაციის მიწოდების ისეთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს საკომუნიკაციო საშუალების მიზანმიმართულ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე სასურველი ზემოქმედების მიზნით. აუდიტორიის დასარწმუნებლად პროპაგანდისტებმა შეიძლება განსხვავებული მეთოდები გამოიყენონ. ასე მაგალითად:

- დადებითი განწყობის შემქმნელი განზოგადებები;
- "იარლიყების მიწებება";
- "გადაადგილება";
- "დადასტურება";
- "უბრალო ადამიანები";
- "ბანქოს ჩაწყობა";
- "არ დაგვაგვიანდეს".

აუდიტორიის დასარწმუნებლად პროპაგანდისტებმა შეიძლება განსხვავებული მეთოდები გამოიყენონ, თუმცა მიზანი ერთია - რაიმე იდეის გავრცელება მომხრეების გაჩენის მიზნით.

პროპაგანდისტული მიზნებისთვის განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები:

პრესა

ტელევიზია

ინტერნეტ - რესურსი

FAKE NEWS

ყალბი ამბავი (Fake News) არის ცალკე აღებული ამბავი (განსხვავებით დეზინფორმაციისა და პროპაგანდისგან, რომლებიც უფრო მასშტაბურ და განგრძობითი ხასიათისაა), რომელიც არასწორ, შეცდომაში შემყვან ინფორმაციას მოიცავს. იგი შესაძლოა სრულად გამოგონილიც იყოს ან ნამდვილ ამბავს შეიცავდეს, რომელიც კონტექსტიდან ამოგლეჯილადაა წარმოდგენილი, გაზვიადებულია და საერთო ჯამში, მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს. ინფორმაციის მანიპულაციის კონტექსტში, ხშირად გამოიყენება ე.წ. ტროლები და ბოტები.

ტროლი - წარმოადგენს იტერნეტ აქტივისტს, რომელიც ხშირად და განზრახ აქვეყნებს რადიკალური და პროვოკაციული შინაარსის მესიჯებს სოციალურ მედიაში და სხვა სახის ინტერნეტ ფორუმებზე. ტროლი შეიძლება ამას თავისი ნება - სურვილით აკეთებდეს, ზოგჯერ კი - გასამრჯელოს სანაცვლოდ. მათი მიზანია კონსტრუქციულ განხილვებში უთანხმოების შეტანა და ობიექტური სიმართლის დაჩრდილვა.

ბოტი - ბოტი სოციალური ექაუნთია, რომლის უკან კომპიუტერული პროგრამაა. ბოტის მიზანი საზოგადოებაში სხვადასხვა, განსხვავებული, მცდარი აზრის ან სიახლის გავცელებაა.

საინფორმაციო ომი

საინფორმაციო ომი ამერიკული კონცეფციაა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები) გამოყენებას და მენეჯმენტს, მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

საინფორმაციო ომი შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოპოვებას, მიღებული ინფორმაციის ვალიდურობის დადასტურებას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას - მოწინააღმდეგისა და საზოგადოების დემორალიზებისთვის ან მანიპულაციისთვის, ასევე, ხელის შეშლას მოწინააღმდეგისთვის, მოიპოვოს სარწმუნო ინფორმაცია.

ინფორმაციული ომი, მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიურ ომთან.

საინფორმაციო ომის მეთოდებს მიეკუთვნება:

- ტელევიზიისა და რადიოგადაცემების ჩახშობა;
- დეზინფორმაციის გავრცელება;
- ლოგისტიკური ქსელების დაბლოკვა;
- მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა და სხვა.

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა
YOUNG LEADERS SCHOOL

XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

თბილისის თავისუფალი აკადემია

სერია "მომავლის ლიდერი"

თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა

0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46

+995 322 369 160

+995 599 670 108